საქართველოს მწვანეთა მოძრაობა
(დედამიწის მეგობრები – საქართველო)

გარემო და საზოგადოება

საქართველოს მწვანეთა მოძრაობის პერიოდული გამოცემა. № 3 (21) 2012 წელი



21-28 ოქტომბერს საქართველოში კლიმატის ცვლილებისადმი მიძღვნილი კვირეული ჩატარდა

საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები საქართველოს ორგანიზებითა და საქართველოში ევროკომისიის წარმომადგენლობის მხარდაჭერით მეოთხე წელია, რაც ტარდება კლიმატის ცვლილებისადმი მიძღვნილი კვირეული მთელი ქვეყნის მასშატბით. კვირეული მიზნად ისახავს საზოგადოების ცნობიერების ამაღლებასა და მის ჩართვას კლიმატის ცვლილებით გამოწვეული პრობლემების შერბილების პროცესში.

საქართველოს გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების მიმართვა საქართველოს მე-8 მოწვევის პარლამენტს

ვადასტურებთ რა, ქვეყანაში დემოკრატიის განვითარების და სამოქალაქო საზოგადოების ფორმირების პროცესებისადმი ჩვენს სრულ მხარდაჭერას. მოგმართავთ, როგორც ამ უმაღლესი ღირებულებების დაცვის ერთერთ მთავარ გარანტს იმ იმედით, რომ სახელმწიფოს მხრიდან ბოლო 10 წლის განმავლობაში უპრეცედენტო გულგრილობითა და ცინიზმით უგულველყოფილი გარემოსდაცვითი პოლიტიკა, რეაბილიტირებული იქნება და საერთაშორისო მხარდაჭერით და გამოცდილების გაზიარებით, აგრეთვე დღემდე ,,უფლებააყრილი" პროფესიონალების მონაწილეობით შემუშავებული იქნება ეროვნულ ინტერესებთან შესაბამისი და ქვეყნისათვის მისაღები გარემოსდაცვით კანონმდებლობა.

ვითვალისწინებთ რა, რომ დღეისათვის არსებული ე.წ. „გარემოსდაცვითი კანონმდებლობა" შედეგია: ერთის მხრივ, პოლიტიკოსების უმრავლესობის ნაკლებ ინფორმირებულობით გარემოსდაცვითი პოლიტიკის მექანიზმებში, რომლითაც ,,წარმატებულად" სარგებლობდა პოლიტიკოსების გარკვეული ჯგუფი, რათა მიეღო თავისთვის სასარგებლო გადაწყვეტილებები ან ცვლილებები შეეტანა არსებულ ნორმატიულ აქტებში და მეორეს მხრივ, მოეხდინა სამოქალაქო სექტორის, ამ პროცესებიდან სრული „გათიშვა";

ვაცნობიერებთ რა, რომ საქართველოს ჯერ კიდევ დიდი გზა აქვს გასავლელი ქვეყნის მდგრადი განვითარების მიმართულებით რეორიენტაციისა, დედამიწის სამიტზე მიღებული დოკუმენტებით განსაზღვრული ვალდებულებებისა და რიო+20 დეკლარაციით დასახული მიზნების სრულფასოვნად შესრულებისაკენ

მოგიწოდებთ, მიღებული იქნეს ისეთი საკანონმდებლო აქტები, რომლებიც უზრუნველყოფენ ქვეყნის ეკონომიკური, სოციალური და გარემოსდაცვითი ინტერესების შეთავსებას, მდგრადი განვითარების პრინციპების დანერგვასა და განსაზღვრავენ ქვეყნის გრძელვადიან მიზნებს. რისთვისაც, ფართოდ უნდა იყოს გამოყენებული დაინტერესებული საზოგადოების პოტენციალი, რათა სახელმწიფომ უზრუნველყოს საზოგადოების მონაწილეობის ღია და გამჭვირვალე მექანიზმების ამოქმედება.

ხელმომწერი ორგანიზაციები:

1. **საქართველოს მწვანეთა მოძრაობა-დედამიწის მეგობრები- საქართველო;**
2. **გარემოს დაცვის ლიგა;**
3. **ჟურნალისტები და საზოგადოება;**
4. **სამეცნიერო-ინტელექტუალური კლუბი „თაობათა დიალოგი";**
5. **კლიმატის ცვლილებების წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო მოძრაობა 350.ორგ საქართველო;**
6. **იმერეთის მხარის მეცნიერთა კავშირი „სპექტრი";**
7. **გაზეთი „პოსტსკრიპტუმი", ჟურნალისტთა დამოუკიდებელი კავშირი.**

კლიმატის ცვლილებისადმი მიძღვნილი კვირეული 21 ოქტომბერს თბილისში, ქუთაისში, ფოთში, აჭარაში და **სენაკში** ოფიციალურად გაიხსნა, რომლის ფარგლებშიც სხვადასხვა ღონისძიებები ჩატარდა ქვეყნის მასშტაბით.

21 ოქტომბერი

თბილისი

კვირეული ისევე როგორც წინა წლებში, წელსაც თბილისში გაიხსნა. მეტრო რუსთაველის მიმდებარე ტერიტორიიდან მოეწყო მსვლელობა თბილისის საკრებულოს შენობამდე, კვირეულის გახსნაში ორგანიზაციის თანათავმჯდომარეებთან ერთად მონაწილეობა მიიღო ევროკომისიის წარმომადგელენელმა საქართველოში, რომელმაც ისაუბრა კლიმატის ცვლილებით გამოწვეულ პრობლემებზე.

საკრებულოს მიმდებარე ტერიტორიიდან კვირეულის მონაწილეები გაემართნენ მეტეხის ხიდისკენ. აქციაში მონაწილეობდნენ ასევე ნიჩბოსნები (10 ნავი), რომლებმაც იუსტიციის სახლის მიმდებარე ტერიტორიიდან ნავებით გადაცურეს მდინარე მტკვარი და მივიდნენ მეტეხის ხიდთან, სადაც მსვლელობის მონაწილეები იყვნენ შეკრებილები.

ქუთაისი

კვირეული თბილისის პარალელურად გაიხსნა ქუთაისშიც, საქართველოს პარლამენტის ახალი შენობის მიმდებარე ტერიტორიასთან, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს საქართველოში მოქმედი გარემოსდაცვითი და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებმა. კვირეულში მონაწილე არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა მე-8 მოწვევის საქართველოს პარლამენტის წევრებსა და პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის თავმჯდომარეობის კანდიდატს გადასცეს გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებით შემუშავებული მიმართვის ტექსტი.

ქუთაისში კვირეულის ფარგლებში მიმდინარე აქციაში ორგანიზატორებთან ერთად მონაწილეობდა სამცნიერო-ინტელექტუალური კლუბი „თაობათა დიალოგის“ და კლიმატის ცვლილების წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო მოძრაობა 350.ორგ-ის წარმომადგებლები.

სენაკი

21 ოქტომბერს, თბილისის და ქუთაისის პარალელურად კლიმატის ცვლილებისადმი მიძღვნილი ღონისძიებები დაიწყო სენაკშიც. კვირეული გაიხსნა მსვლელობით, რომელიც მოეწყო სენაკის მე-3 საჯარო სკოლის მიმდებარე ტერიტორიიდან რაიონის თეატრალურ მოედნამდე. მსვლელობაში აქციის ორაგანიზატორებთან ერთად მონაწილობდნენ ველოსიპედისტები, სკოლის მოსწავლეები, მასწავლებლები და ადგილობრივი მო-

სახლეობის წარმომადგენლები. კვირეულის გახსნის შემდეგ მონაწილეები გაემართნენ სამხატვრო გალერიისკენ, სადაც გაიხსნა ბავშვთა ნახატების ფამოფენა

22 ოქტომბერი

ბათუმი

კვირეული გაისხნა აჭარაშიც, სადაც

პროექტის „დავასუფთაოთ საქართველო - საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და მისი ჩართვა მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების მართვის გაუმჯობესების პროცესში“ ფარგლებში, ადგილობრივი წარმომადგენლობის ორგანიზებით, ჩატარდა დასუფთავების აქცია ადლიის მიმდებარე ტერიტორიაზე, სადაც დასუფთავდა 1 ჰა ფართობი, შეგროვდა 4 m^3 ნარჩენი, რომელიც განთავსდა ნაგავსაყრელზე.

რუსთავი

კვირეულის ფარგლებში ქ. რუთსავში „დავასუფთაოთ საქართველო“ პროექტის ფარგლებში ჩატარდა შეხვედრა ადგილობრივი მერიისა და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან, როგორც მერების შეთანხმების მონაწილე ქალაქის წარმომადგენლებთან, სადაც საუბარი იყო კლიმატის ცვლილებისა და ნარჩენების მართვის საკითხებზე და თანამედროვე სტანდატრების ნაგავსაყრელის ასრებობის აუცილებლობაზე, როგორიც ამდროისათვის რუსთავს გააჩნია.

23 ოქტომბერი

ფოთი

ქ. ფოთში პროექტის „დავასუფთაოთ საქართველო“ განმახორციელებელი ჯგუფის ინიციატივით ჩატარდა სემინარი კლიმატის ცვლილების თემაზე, რომელშიც მონაწილეობდნენ ადგილობრივი მოსახლეობისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, მოხალისეები. სემინარმა მონაწილეებში დიდი ინტერესი გამოიწვია.

კვირეულის ფარგლებში ღონისძიებები ჩატარდა ასევე: **ზუგდიდი** - დისკუსია თემაზე: დიდი ჰიდროელექტრო სადგურების მშენებლობა; **ქუთაისი** - მოსწავლეებისათვის ჩატარდა ღია გაკვეთლი, რომლებსაც დაურიგდათ საინფორმაციო მასალები კლიმატის ცვლილებაზე. **თბილისი** - აფხაზეთის გარემოს დაცვის დეპარტამენტის ხელშეწყობით ვაშლიჯვარის საჯარო სკოლაში ჩატარდა ღია გაკვეთილი მოსწავლეებისათვის-კლიმატის ცვლილების თემაზე;

24 ოქტომბერი

თბილისი

კვირეულის ფარგლებში ჩატარდა შეხვედრა ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებისა და დაცვის სტრატეგიასთან დაკავშირებით, სადაც განხილული იყო პროექტი ''კოლხეთის მაღალკონსერვაციული ეკოსისტემების და ბიომრავალფეროვნების ხელშეწყობა მდინარე ტეხურას ხეობაში", რომელიც ხორციელდება მწვანეთა მოძრაობის მიერ. შეხვედრაზე აღინიშნა, რომ საქართველოს ბიომრავალფეროვნება მდიდარია, სადაც გავრცელებულია ენდემური და იშვიათი სახეობები, რომელთა უმრავლესობა ტყის ეკოსისტემაშია თავმოყრილი. ფლორის ენდემი 25-30%-ია. მაშინ როდესაც ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიის ევროპულ ნაწილში ფლორის ენდემი ნულის ტოლია. ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება კი აუცილებელია კლიმატის ცვლილების ეპოქაში,

რადგან მისი გაღარიბება ასუსტებს ეკოსისტემის მდგრადობას. რაც უფრო მრავალფროვანია ჩვენი გარემო, მით უფრო მდგრადია ის. ამიტომ აუცილებელია მისი დაცვა და შენარჩუნება.

კვირეულის ფარგლებში ღონისძიებები ჩატარდა ასევე: **თერჯოლა** - პროექტის „დავასუფთაოთ საქართველო" ფარგლებში ჩატარდა დასუფთავების აქცია, დასუფთავდა თერჯოლის შესასვლელი

გზის მონაკვეთის 2 ჰა ფართობი, შეგროვდა 4 m^3 ნარჩენი, რომელიც განთავსდა ნაგავსაყრელზე; **ზუგდიდი** - საჯარო სკოლის უფროსი კლასის მოსწავლეების მიერ წარმოდგენილი იყო პრეზენტაციები კლიმატის ცვლილების შესახებ; ზესტაფონი - ფუთის საჯარო, **ბოლნისი** - დაბა კაზრეთი ჩატარდა ღია გაკვეთილები სკოლის მოსწავლეებისათვის.

25 ოქტომბერი

თბილისი

კვირეულის ფარგლებში სასტუმრო რედისონში პროექტის „დავასუფთაოთ საქართველო" ფარგლებში გაიმართა საკოორდინაციო–საინფორმაციო შეხვედრა თემაზე: „მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების მართვის საკითხები საქართველოში". შეხვედრის მიზანი იყო საქართველოში ნარჩენების მართვის სფეროში მიმდინარე პროექტების შესახებ ინფორმაციისა და მიმდინარე საქმიანობის მოკლე მიმოხილვა, დაგროვილი გამოცდილების გაზიარება, არსებული მიღწევების და პრობლემების იდენტიფიცირება, ურთიერთთანამშრომლობის მექანიზმის ჩა-

მოყალიბება, სამომავლოდ იდენტური ქმედებების დაგეგმვის თავიდან აცილების მიზნით.

სამუშაო შეხვედრამ მონაწილებს შორის დიდი ინტერესი გამოიწვია. აღინიშნა, რომ საქართველოში ნარჩენების მართვის სფეროში ბევრი საერთაშორისო ორგანიზაცია ახორციელებს პროექტებს, თუმცა ნაკლებია მათ შორის კომუნიკაცია და ინფორმაციის გაცვლა. შეხვედრის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ მსგავსი ტიპის შეხვედრები ხელს შეუწყობს სფეროში დაგროვილი გამოცდილების გაზიარებას და მოსალოდნელი რისკების თავიდან აცილებას, ასევე მიმდინარე/დაგეგმილი პროექტების განმახორციელებელ ორგანიზაციებს შორის ურთიერთთანამშრომლობის გაღრმავებას, შემდგომში ნარჩენების მართვის საკითხების სწორად დაგეგმვის მიზნით.

შეხვედრაში კვირეულის ორგანიზატორებთან ერთად მონაწილეობდნენ როგორც სამთავრობო ისე არასამთავრობო ორგანიზაციები, მათ შორის, გარემოს დაცვის, სოფლის მეურნეობის სამინისტროების, ნარჩენების მართვის კომპანიის, სამეცნიერო–კვლევითი ფირმა „გამა“–ს, გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და მდგრადი განვითარების ცენტრის, ასევე UNDP-ის წარმომადგენლები.

კვირეულის ფარგლებში ღონისძიებები ჩატარდა ასევე: **ზუგდიდში** - საჯარო სკოლების მოსწავლეების მიერ ბოტანიკურ ბაღში წარმოდგენილი იყო თეატრალური პერფორმანსი. ასევე საუბარი იყო დაგეგმილი ლაზიკას მშენებლობის (ქ. ლაზიკის მშვენებლობის დაგეგმილი მშენებლობა) შესახებ. **თბილისი** - ტრენერთა ტრეინინგი კლიმატის ცვლილებაზე. **თბილისი** - „ეკოხედვას“ ინიციატივით მომზადდა სატელევიზიო გადაცემა ბავშვებისათვის, რომელიც გადაიცა „ენიკი-ბენკის“ არხზე. **ბათუმი** - მწვანეთა მოძრაობის ორგანიზებით ჩატარდა შეხვედრა თემაზე - ნარჩენების ურყოფითი როლი კლიმატის ცვლილებაზე (კამპანია „დავასუფთაოთ საქართველო“) და დასუფთავების აქცია ახალგაზრდული სახლის აღსაზრდელებთან ერთად (დასუფთავდა ბათუმის ახალი ბულვარის მიმდებარე ტერრიტორია). **თბილისი** - მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლე, მოსწავლეების მიერ მოეწყო კლიმატის ცვლილებაზე შექმნილი ნახატების გამოფენა და ა.შ.

26 ოქტომბერი

თბილისი

კლიმატის ცვლილებისადმი მიძღვინი კვირეულის ფარგლებში სასტუმრო „ამბასადორში“ გაიმართა ხუდონის ჰიდროელექტროსადგურის პროექტის ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასებაზე (წინასწარი ვარიანტი) საზოგადოებრივი დასკვნის პრეზენტაცია. რომელმაც დამსწრე საზოგადოებაში დიდი ინტერესი გამოიწვია.

პროექტის „ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასებაზე (წინასწარი ვარიანტი) საზოგადოებრივი დასკვნა“ მომზადდა საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები-საქართველოს მიერ, გარემოზე ზემოქმედების შეფასების დამოუკიდებელი კომისიასთან თანამშრომლობით, ფრიდრიხ ებერტის ფონდის მხარდაჭერით. შეხვედრამ დამსწრე საზოგადოებაში დიდი ინტერესი გამოიწვია, გამოითქვა სურვილი შემდგომში მსგავსი ტიპის დასკვნების მომზადების.

კვირეულის ფარგლებში ღონისძიებები ჩატარდა ასევე: **ლანჩხუთი** - მწვანეთა მოძრაობის, ადგილობრივი მუნიციპალიტეტის და სკოლის მოსწავლეების მიერ ჩატარდა დასუფთვების აქცია. ასევე სოფ. ჩიბათის მე–10–11–12 კლასის მოსწავლეებისათვის ჩატარდა ღია გაკვეთილი, რის შემდეგაც მოსწავლეებმა წარმოადგინეს პრეზენტაციები კლიმატის ცვლილების თემაზე, მოეწყო გამოფენა და გამწვანების აქცია სამხავტრო სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე, სადაც დაირგო 15 ძირი კაკლის ნერგი (კამპანია „დავასუფთაოთ საქართველო“). **აბაშა** - კვირეულის ფარგლებში ჩატარდა დასუფთავების აქცია, დასუფთავდა ქალაქის ცენტრალური და შემოსასვლელი ქუჩები, დასუფთავდა 2 ჰა ფართობი. შეგროვდა 5მ^3 ნარჩენი, რომელიც დასუფთავების სამსახურის მიერ გატანილ იქნა ნაგავსაყრელზე (კამპანია „დავასუფთაოთ საქართველო“); **ბაღდათი** - სოფ. დიმი

ჩატარდა დასუფთავების აქცია, რომელშიც მონაწილება მიიღეს ადგილობრივი მოსახლეობისა და ბაღდათის კომუნალური სამსახურის წარმომადგენლებმა, დასუფთავდა 1 ჰა ფართობი, შეგროვდა 4 $მ^3$ ნარჩენი (კამპანია „დავასუფთაოთ საქართველო“); **დუშეთი** - ჩატარდა დასუფთავების აქცია, რომელშიც მონაწილეობდა დუშეთის I და II საჯარო სკოლების მოსაწავლეები, მასწავლებლები, გამგეობის თანამშრომლები და ადგილობრივი მოსახლეობა. დასუფთავდა 2 ჰა ფართობი, შეგროვდა 4 $მ^3$ ნარჩენი (კამპანია „დავასუფთაოთ საქართველო“) და ა.შ.

27 ოქტომბერი

თბილისი

მწვანეთა მოძრაობის ცენტრლურ ოფისში, აფხაზეთის გარემოსდაცვის სამართველოს, „ეკოხედვას“, შავი ზღვის ალიანსისა და მწვანეთა მოძარობის მიერ გაიმართა დისკუსია შავი ზღვის სანაპირო ზოლის გარემოსდაცვით პრობლემებზე, წარმოქმნილი ნარჩენების მართვის საკითხებზე და თანამედროვე გამოწვევებზე.

კვირეულის ფარგლებში ღონისძიებები მომზადდა ასევე: **თბილისი** - ეკოხედვას ორგანიზებით მომზადდა საბავშვო სატელევიზიო გადაცემა „ენკი-ბენკიზე“; **დედოფლისწყარო** - ჩატარდა დასუფთვების აქცია (კამპანია „დავასუფთაოთ საქართველო“).

28 ოქტომბერი

თბილისი

კლიმატის ცვლილებისადმი მიძღვნილი კვირეულის დასკვნითი ღონისძიების ფარგლებში გაიმართა მრგვალი მაგიდა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს პოლიტიკური პარტიებისა და გარემოს დაცვის სამინისტროს წარმომადგენლებმა. შეხვედრას ესწრებოდა გარემოს დაცვის მინისტრი.

კვირეულის ფარგლებში ღონისძიებები განხორციელდა ასევე: **თელავი** - გამწვანების აქცია, დაირგო 15 ძირი ცაცხვის ნერგი თელავის ხევის მარჯვენა სანაპიროზე (კამპანია „დავასუფთაოთ საქართველო“). **სენაკი** - მოსწავლეების მიერ მოეწყო ეკოთამაში კლიმატის ცვლილებაზე; და ა.შ.

კლიმატის ცვლილებისადმი მიძღვნილი კვირეულის ფარგლებში დასუფთვებისა და გამწვანების აქციები ჩატარა პროექტის **„დავასუფთაოთ საქართველო -საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და მისი ჩართვა მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების მართვის გაუმჯობესების პროცესში“** ფარგლებში. ადგლობრივი და რეგიონალური წარმომადგენლების ხელშეწყობით.

კლიმატის ცვილებისადმი მიძღვნილმა კვირეულმა საზოგადოებში დიდი ინტერესი გამოწვია!

კლიმატის კვირეული დიდი აქტიურობით გაშუქდა, როგორც ადგილობრივი ასევე რეგიონალური მედიის საშაულებებით.

გლობალური დათბობით გამოწვეული კლიმატის ცვლილება

გლობალური დათბობა დედამიწაზე ჰაერის საშუალო ტემპერატურტიის თანმიმდევრული ზრდაა. დათბობის ძირითად მიზეზს წარმოადგენს ატმოსფეროში სათბური გაზების კონცენტრაციის ზრდა, რაც გამოწვეულია ადამიანის საქმიანობის შედეგად სათბური გაზების ემისების ზრდითა და სათბური გაზების მშთანთქმელთა შესუსტებით. ეს პროცესი წინაინდუსტრიული პერიოდიდან (დაახლოებით 1750 წლიდან) დაიწყო და მე-20 საუკუნის მეორე ნახევრიდან უფრო გაძლიერდა. დღეისათვის მეცნიერები ადასტურებენ, რომ კლიმატის ცვლილება პლანეტის მასშტაბით ხდება და ვლინდება მრავალი სხვადასხვა ფორმით. მათ შორის შეიძლება მოხდეს:

- ტემპერატურის მომატება;
- ნალექების მომატება;
- მყინვარების დნობა და ყინულის ფენების ლღვობა ოკეანეში;
- ზღვებისა და ოკეანეების დონის აწევა;
- ნიადაგის დეგრადაცია;
- ეკოსისტემის შეცვლა;
- ადამინის ჯანმრთელობის გაუარესება და სხვა.

სათბური გაზები

სათბური გაზები არის ატმოსფეროში არსებული გაზები, რომლებიც თვისი ფიზიკური თვისებებიდან გამომდინარე შთანთქავენ დედამიწიდან კოსმოსში გასხივებულ ენერგიის ნაწილს. ისინი ფაქტიურად ბლოკავენ დედამიწის კოსმოსურ სივრცეში გასხივებული ენერგიიის ნაკადს. ამ მოვლენას კი „სათბურ ეფექტს" უწოდებენ.

სათბურის გაზებია ნახშიროჟანგი (CO_2), მეთანი (CH_4) და აზოტის ქვეჟანგი (H_2O). მიუხედავად იმისა, რომ მეთანი, განსაკუთრებით კი აზოტის ქვეჟანგი, ბევრად უფრო ძლიერი „სათბური ეფექტის" მქონე გაზებია, ისინი მთავარ როლს ასრულებენ კლიმატის ცვლილების პროცესში დიდი ოდენობით ემისიის (გაფრქვევის) გამო.

ბოლო დროინდელი მონაცემებით, კლიმატის ცვლილება უფრო აქტიურად მიმდინარეობს ვიდრე ამას ვარაუდობდნენ.

კლიმატის ცვლილების მიმდინარე პროცესების გაგრძელების შემთხვევაში მე-21 საუკუნის დასასრულისთვის დედამიწაზე ტემპერატურა საგრძნობლად მოიმატებს. კლიმატის ცვლილებას ხშირად უკავშირებენ ადამიანის სამეწარმოო საქმიანობას და ბუნებრივი რესურსების ინტენსიურ მოხმარებას, რაც იწვევს ატმოსფეროში „სათბური აირების" კონცენტრაციის ზრდას. სათბური აირების კონცენტრაციის ზრდის გამო კი დედამიწის საშუალო ტემპერატურა შეიძლება კიდევ უფრო გაიზარდოს.

სათბური გაზები არის ატმოსფეროში არსებული გაზები, რომლებიც აბრკოლებენ დედამიწის ზედაპირიდან სითბური ენერგიის გასხივებას. მთავარი სათბური გაზია ნახშირორჟანგი, მეთანი და აზოტის ქვეჟანგი. რაც უფრო მაღალია სათბური გაზების კონცენტრაცია ატმოსფეროში, მით უფრო მეტი სითბო რჩება დედამიწაზე.

კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენცია - კიოტოს ოქმი

გამომდინარე იქედან, რომ კლიმატის ცვლილება გლობალური პრობლემაა, ის დროულ და ეფექტურ გადაჭრას მოითხოვს მსოფლიო ქვეყნების მთავრობების მიერ. კერ ჯიდევ, 1979 წელს კლიმატის ცვილებისადმი მიძღვნილ პირველ მსოფლიო კონფერენციაზე აღიარეს, რომ კლიმატის ცვლილება ეს არის სერიოზული პრობლემა და საჭიროა აქტიური შემარბილებელი ღონისძიებების გატარება. შეხვედრაზე შემუშავდა მიმართვის დეკლარაცია მსოფლიო მთავრობებისადმი, რომ თავიდან აერიდებინათ კლიმატის ცვლილება. გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში კი გაიმართა მთელი რიგი სამთავრობათშორისი კონფერენციები კლიმატის ცვლილების შესახებ. რამაც საფუძველი ჩაუყარა შემდგომში კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციის შესახებ მოლაპარაკებების დაწყებას.

კლიმატის ცვლილების კონვენცია მიიღეს 1992 წლის 9 მაისს რიო დე ჟანეროში. რომელსაც ხელი იმთავითვე მოაწერა 154 სახელმწიფომ. დღეს კონვენციას მიერთებულია 192 ქვეყანა, მათ შორის საქართველო.

კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენცია მუშაობს ორი მიმართულებით:

- **სათბური გაზების შემცირებას;**
- **კლიმატის ცვლილებისადმი ადაპტაციას.**

კიოტოს ოქმი წარმოადგენს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კლიმატის ჩარჩო კონვენციის ფარგლებში დადებულ საერთშორისო შეთნხმებას. კონვენციისგან განსხვავებით კიოტოს ოქმი ქვეყნებისათვის ადგენს სათბური აირების ატმოსფეროში გაფრქვევის კონკრეულ ზღვრებს. ქვეყნებს ეძლევათ უფლება გაფრქვევათა შემცირების ნაწილი სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე შეასრულონ, ანუ, ფაქტობრივად ქვოტებით ივაჭრონ. ოქმის მიზანია ატმოსფეროში სათბურის აირების კონცენტრაციის დასტაბილურება ისეთ დონეზე, რომელიც დედამიწის კლიმატისთვის საშიში არ იქნება. საქართველო კიოტოს ოქმს შეუერთადა 1999 წელს.

მერების შეთანხმება

ევროკავშირის ეგიდით რამდენიმე წელია, რაც მოქმედებს ე.წ. „მერების შეთანხმება" რომელსაც მთელი მსოფლიოს მასშატბით ათასზე მეტი ქალაქი შეუერთდა. შეთანხმება მოიცავს გლობალურ საფრთხეებს, სადაც განსაკუთრებული ყურადღებაა გამახვილებული კლიმატის ცვლილებაზე. თბილისი ამ დოკუმენტს შეუერთდა 2010 წელს და გახდა პირველი ხელმომწერი დედაქალაქი სამხრეთ კავკასიაში. აღნიშნული ხელმოწერით, თბილისი შეუერდთა ევროკავშირის 2020 წლის საერთო მიზანს, რომელიც ითვალისწინებს ადგილობრივი ტერიტორიების საზღვრებში სათბური გაზების (CO_2-ის) ემისიების მინიმუმ 20%-ით შემცირებასა და მდგრადი ენერგეტიკის ხელშემწყობი სამოქმედო გეგმის განხორციელებას.

საქართველოს მწვანეთა მოძრაობის ორგანიზებით გაიმართა საერთაშორისო კონფერენცია თემაზე: „საქართველოში განახლებადი ენერგიების ეფექტურად გამოყენებასა და ენერგოეფექტური ტექნოლოგიების დანერგვაზე ხელშწეყობა".

კონფერენციაზე შემუშავდა არასამთავრობო ორგანიზაციათა პოზიციის დეკლარაცია „საქართველოში განახლებადი ენერგიების ეფექტურად გამოყენებასა და ენერგოეფექტური ტექნოლოგიების დანერგვაზე ხელშეწყობასთან" დაკავშირებით.

არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ექსპერტების პოზიციათა დეკლარაცია

ენერგეტიკა ის სფეროა, რომელიც ზეგავლენას ახდენს როგორც მთლიანად ქვეყნების, ასევე თითოეული ადამიანის ცხოვრების ყველა ასპექტზე. მისი ხვედრითი წილი მნიშვნელოვანია ყველა დონეზე – მთლიანი შიდა პროდუქტიდან დაწყებული და ყოფითი პირობებით დამთავრებული.

საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე, ამ დეკლარაციაზე ხელმომწერი საქართველოს არასამთავრობო (საზოგადოებრივი) ორგანიზაციები, ექსპერტები და სამეცნიერო წრეების წარმომადგენლები გრძნობენ რა პასუხისმგებლობას და ეყრდნობიან რა საკუთარ გამოცდილებასა და დაზუსტებულ ინფორმაციას.

გამოთქვამენ შეშფოთებას ენერგიის განახლებადი (არატრადიციული) წყაროების ეფექტურად და ჯეროვნად ათვისების უაღრესად დაბალი დონის გამო საქართველოში;

გამოთქვამენ უკმაყოფილებას როგორც გენერირების, ასევე გადაცემისა და მოხმარების ეტაპებზე ენერგიის განიავების დამკვიდრებული ტენდენციის, ენერგოეფექტურობის მიღწევის თაობაზე ფასადური ხასიათის იდეების, განცხადებების დეკლარირებისა და პრაქტიკულ საქმიანობაში არსებული უმოქმედობის გამო;

ამ ფონზე, კატეგორიულად არ ეთანხმებიან ენერგეტიკული დანიშნულებით

საქართველოს მდინარეების ჰიდროპოტენციალის ათვისების მიზნით გიგანტური ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის გაუაზრებელ პოლიტიკას და მიაჩნიათ, რომ ყოველივე ეს ხორციელდება ეკოლოგიური, სოციალური, დემოგრაფიული და კულტურული რისკების კატასტროფულად ზრდის ხარჯზე;

თანხმდებიან რა იმაზე, რომ ენერგოუზრუნველყოფა ქვეყნის უსაფრთხოების ერთ–ერთი უმთავრესი კომპონენტია, მიაჩნიათ, რომ ჰიდროპოტენციალის გონივრულად ათვისების პარალელურად, მნიშვნელოვნად უნდა გაძლიერდეს განახლებადი არატრადიციული წყაროებიდან ენერგიის გენერირებისა და ენერგოეფექტურობის სფეროში არსებული მნიშვნელოვანი რეზერვების ამოქმდების ღონისძიებები;

კატეგორიულად არ ეთანხმებიან არგუმენტებს იმის თაობაზე, რომ ენერგოეფექტური ღონისძიებების გატარებისა და ტექნოლოგიების დანერგვის მიზნით საკანონმდებლო ნორმების შემოღება ზედმეტად დაამძიმებს მოქალაქეების სოციალურ და ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობას;

მიუხედავად იმისა, რომ საქართველო წარმოადგენს ამ საკითხების მარეგულირებელი არაერთი საერთაშორისო შეთანხმების ხელმომწერ მხარეს, მიაჩნიათ, რომ ამ მიმართებით საქართველოს ხელისუფლების ქმედებები მინიმალურადაც ვერ პასუხობს მათ მიერვე აღებულ საერთაშორისო ვალდებულებებს;

შეშფოთებულნი არიან იმ ფაქტით, რომ ყოველდღიურად და უკვე საკანონმდებლო დონეზეც, ირღვევა ენერგეტიკული ქარტიის ფუნდამენტური პრინციპი – ენერგოუზრუნველყოფა განხორციელდეს ბუნებრივ გარემოზე მავნე ზემოქმედების მინიმუმამდე შემცირების გზით – და ქვეყნის ეკოსისტემებისათვის მომეტებული საფრთხის შემცველი პროექტები ხორციელდება გარემოზე ზემოქმედების ჯეროვანი შეფასების გარეშე;

უკმაყოფილებას გამოთქვამენ სახელმწიფო (საბიუჯეტო) სექტორის მიერ მოხმარებული ენერგორესურსების აღრიცხვის, სტატისტიკური ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და გამჭვირვალეობის საქმეში არსებული ბიუროკრატიული ბარიერების გამო;

მოითხოვენ, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია გათავისუფლდეს პოლიტიკური, მონოპოლიური და ყოველგვარი სხვა ზეწოლისაგან;

აცნობიერებენ რა ქვეყნის ენერგობალანსში ენერგიის განახლებადი (არატრადიციული) წყაროების გამოყენებისა და ენერგოეფექტურობის სფეროში არსებული რეზერვების პოტენციურ წილს, აგრეთვე ქვეყნის ტერიტორიის გიგანტური ჰიდროელექტროსადგურებით დაფარვის შემთხვევაში მოსალოდნელ საფრთხეს;

მიმართავენ მსოფლიო თანამეგობრობას:

ა) ზეგავლენა მოახდინონ საქართველოს მთავრობაზე ენერგიის განახლებადი (არატრადიციული) წყაროების ეფექტურად ათვისების უზრუნველყოფისა და ენერგოეფექტურობის სათანადო დონის მიღწევის, აგრეთვე მიღწეული შედეგების მუდმივად გაუმჯობესების მიზნით;

ბ) საქართველოს აღმოუჩინონ ფინანსური, მატერიალური, ტექნოლოგიური და ინტელექტუალური მხარდაჭერა არსებული მდგომარეობის უმოკლეს პერიოდში რადიკალურად შეცვლის მიზნით.

დარწმუნებულნი არიან რა, რომ საქართველოს სახელმწიფომ გადაუდებლად უნდა განახორციელოს ენერგიის განახლებადი (არატრადიციული) წყაროების ათვისების გრძელვადიან პერიოდზე გათვლილი ეფექტური ღონისძიებები და რადიკალურად უნდა შეცვალოს ენერგოეფექტურობასთან დაკავშირებით არსებული გაუმართლებელი პოლიტიკა, მიმართავენ საქართველოს მთავრობას:

დაუყოვნებლივ გადაიხედოს „საქართველოს ენერგეტიკულ სექტორში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების“ თაობაზე საქართველოს პარლამენტის დადგენილება და საერთაშორისო ვალდებულებებისა და ამ დეკლარაციის, აგრეთვე ქვეყნის მთელი საზოგადოების მოთხოვნების გათვალისწინებით შემუშავებულ და მიღებულ იქნას ქვეყნის ენერგეტიკული პოლიტიკა, რომელსაც ექნება ლეგიტიმაციის უფრო მაღალი დონე, ვიდრე პარლამენტის დადგენილებაა და

რომელშიც განსაკუთრებული ადგილი დაეთმობა ენერგოეფექტურობის სფეროს;

შემუშავებული ენერგეტიკული პოლიტიკიდან გამომდინარე და გერმანიის გამოცდილების გათალისწინებით, გადაუდებლად იქნას მიღებული ისეთი ხელშემწყობი საკანონმდებლო აქტები, **როგორიცაა**:

- ენერგიის განახლებადი (არატრადიციული) წყაროების ეფექტურად გამოყენების შესახებ;
- ენერგოეფექტურობის შესახებ;
- საქართველოს სამშენებლო კოდექსი;
- ენერგოეფექტური ტექნოლოგიების, საყოფაცხოვრებო და სხვა სახის ტექნიკური საშუალებების წარმოებისა და იმპორტის რეგულირების თაობაზე;
- ტექნიკური რეგულირების შესახებ, სადაც გათვალისწინებული იქნება ენერგომოხმარებისა და ენერგოდანაკარგების შემცირების, აგრეთვე დამატებითი ენერგიის გენერირების სტიმულირების მექანიზმები.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ ქმედითი გახადოს მის მიერვე 2008 წლის 18 სექტემბერს მიღებული №23 დადგენილების მუხლი 3–ის ა.ბ) პუნქტი – ენერგეტიკული ობიექტების ყოველწლიური ვალდებულების თაობზე „ტექნიკური ანგარიშის“ რეგულარულად წარდგენასთან დაკავშირებით – და საჯარო გახადოს ამ ანგარიშების ანალიზის შედეგები, ასეთი ვალდებულება გავრცელდეს საბიუჯეტო დაწესებულებსა და ენერგიის მსხვილ მომხმარებლებზე;

რეალური ნაბიჯები გადადგას ე.წ. „მერების შთანხმებით“ აღებული პრიორიტეტული ვალდებულებების შესასრულებლად და არ შემოიფარგლოს უმნიშვნელო გადაწყვეტილებებით;

უზრუნველყოს ენერგეტიკის სფეროში შემავალი სხვადასხვა მხარის კანონიერი ინტერესების დასაბუთებული და სამართლიანი გაწონასწორება;

ერთხელ და სამუდამოდ უარი თქვას დარგის არაპროფესიონალური და არასპეციალისტი კადრებით დაკომპლექტების მავნე პრაქტიკაზე;

სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, პრინციპულად დასვას საკითხი, ენერგეტიკის შიდა ინფრასტრუქტურის მოწესრიგების თაობაზე და მიაღწიოს პოზიტიურ შედეგებს;

დაუყოვნებლივ დასვას საკითხი „გარემოზე ზემოქმედების შეფასების“ შესაძლო გადავადების თაობაზე არსებული კანონის გაუქმების შესახებ;

გადაუდებლად იზრუნოს ქვეყანაში მოწყობილობებისა და ტექნოლოგიების ენერგოეფექტურობის თვალსაზრისით ტესტირების, გამოცდის, მარკირებისა და ამავე მიზნით მონიტორინგის განხორციელების მატერიალური ბაზის შესაქმნელად;

განსაკუთრებული ძალისხმევა მოახმაროს მოსახლეობის ცნობიერების დონის ამაღლებას, მის ინფორმირებულობას, ფართო პროპაგანდა გაუწიოს ამ მიმართებით მსოფლიოში აპრობირებულ არაერთ კამპანიას.

დეკლარაციაზე ხელმომწერ პირებს მიაჩნიათ, რომ ენერგეტიკის სფეროს რეგულირებაში, სამთავრობო გადაწყვეტილებების მიღებაზე მნიშვნელოვანი, ზოგჯერ კი გადამწყვეტი ზეგავლენა შეიძლება იქონიოს თითოეული ჩვენთაგანის გააზრებულმა, პრინციპულმა პოზიციამ და ქმედებამ, რის გამოც მოვუწოდებთ საქართველოს საზოგადოებას და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს:

- ენერგიის განახლებადი (არატრადიციული) წყაროების გამოყენებისა და ენერგიის ეფექტურად ხარჯვის თვალსაზრისით სამთავრობო სტრუქტურების უმოქმედობას დავუპირისპიროთ მაღალი სამოქალაქო აქტივობა და პრინციპულობა;
- მოვახდინოთ საზოგადოებრივი ორგანიზაციების რესურსების მობილიზება და ძალების კონცენტრირება ზემოხსენებულ საკითხებზე;
- შევიმუშაოთ კონკრეტულ ღონისძებათა ერთობლივი სამოქმედო გეგმა და ვიზრუნოთ მისი ეტაპობრივი განხორციელებისათვის;
- დავგეგმოთ ერთობლივი აქციები და სხვა ღონისძებები, ვიზრუნოთ კონკრეტული შედეგების მისაღწევად.

გამოყენებული ლიტერატურა:
http://tbilisi.gov.ge; http://moe.gov.ge; http://ka.wikipedia.org

ᲙᲚᲘᲛᲐᲢᲘᲡ ᲪᲕᲚᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲩᲐᲠᲩᲝ ᲙᲝᲜᲕᲔᲜᲪᲘᲘᲡ ᲛᲮᲐᲠᲔᲗᲐ ᲛᲔ-18 ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ

26 ნოემბრიდან 7 დეკემბრის ჩათვლით, ყატარში, ქალაქ დოჰაში გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციის ფარგლებში გაიმართა მხარეთა მე-18 შეხვედრა (COP 18), რომელიც მიზნად ისახავდა კლიმატის ცვლილების გამომწვევი და ატმოსფეროში სათბური ეფექტის მასტიმულირებელი აირების შემცირებას და შესაბამისი საადაპტაციო და შემარბილებელი ღონისძიებების დაგეგმვას მხარეთა მიერ.

მხარეთა შეხვედრაზე განიხილეს კიოტოს პროტოკოლის შემდგომი განხორციელების პერიოდის, ფინანსური მექანიზმებისა და საადაპტაციო გეგმების შესახებ. მონაწილეები შეთანხმდნენ, რომ აუცილებელია ლეგალური ბაზის შემუშავება 2015 წლისათვის.

შეხედრაზე საუბარი იყო, ატმოსფეროში არსებული ემისიების კონცენტრაციის დონეზე, რაც დაეფუძნა გაეროს გარემოსდაცვითი პროგრამის უახლეს ანგარიშს, რომელმაც აჩვენა, რომ ქვეყნები ძალზედ შორს დგანან ჯერ კიდევ, ერთი წლის წინ დასახული ამოცანის განხორციელებისაგან, რომელიც მიზნად ისახავდა გლობალური ტემპერატურის მაჩვენებლის 2^0C ქვემოთ შენარჩუნებას.

პუბლიკაცია მომზადდა და გამოიცა ევროკავშირის მხარდაჭერით

პუბლიკაციის შინაარსზე პასუხისმგებელია საქართველოს მწვანეთა მოძრაობა, მასში გამოთქმული მოსაზრებები არ უნდა იქნეს მიჩნეული დონორთა მოსაზრებებად

რედაქტორი: ლელა ყაჭეიშვილი
გამოცემაზე მუშაობდნენ: ლელა ყაჭეიშვილი, მაია კაპანაძე
დიზაინი: ირაკლი გულედანი

საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები საქართველო

საქართველო, თბილისი, ნუცუბიძის ქუჩა №10ა
ტელ/ფაქსი: (+995 32) 2399543; ელ-ფოსტა: info@greens.ge
Web-გვერდი: www.greens.ge www.cleanup.ge www.caucasusccnet.ge